

დროშა

ბაგოდის ყოველ-ღეო ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მთლიან გვერდზე სარკინოზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უცხადებელი უკანონო და 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი უკანონო და 25 ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზე.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროშის“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რკინოს სახლში.
წელიწადში ერთხელ მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ქვილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроша»
ფასი: წელით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპიკი.

მიიღება სელინ-მოწერა გაზეთს
„დროშაზედ“
1885 წლისათვის

თბილისში — „დროშის“ რედაქციაში; შუთაისში — ძმ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თილავში — ვანო როს-
ტომაშვილთან; გორში — ალანო თუთავეთან.
სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით
ოთხი მანათი, დაწვრილებით შირობები გაზეთის სათაურშია.

ქაღაბებანი

იმერეთის „ეპისკოპოსის“ ბაბრეგლისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის
ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. შასი თვითო ტომისა
მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაბარებენ
ქაღაბებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю
Грикурова, ანъ въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16-4)

რედაქციისაგან

ჩვენის ძველის ხელის-მომწერ-
ლებისაგან ყოველ დღე მოგვდის
საკვედური, რატომ ახალი წლი-
დამ გაზეთს აღარ გვიგზავნიოთ.
ამ საკვედურის ასაცილებლად უნდა
გაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რომ
გაზეთს ვერავის ვერ გავუგზავნიოთ,
ვიდრე გაზეთის მიღების სურვილს
არ გამოგვიცხადებენ. ამას იმი-
ტომ ვნადით საჭიროდ, რომ არა-
ვინ იფიქროს, ვითომც გაზეთის
დაბარებას ძალად ვაკისრებინებ-
დეთ ვისმე.

ქართული თეატრი.
დღეს 20 იანვარს
დებიუტი ვ. დ. გუნიასი
წარმოდგენილი იქნება:
I
ელონე კინი
დრამა 4 მოქმედ. თხზულ. პ.
ლიუბსკი, მესამე და მეოთხე მოქმე-
დების შუა დადგმული იქნება მეამე
მოქმედების პირველი სურათი „ქაღა-
ბებანი“
II
ოტელლო
შექპირისა 1 სცენა მე-5 მოქმე-
დებიდან.
ფასები ჩვეულებრივია.

„დროშის“ ქელტონი, იანვრ. 20-ს
საკვირაო ქელტონი.
გულთმისნობა. — ქელტონის სჯამა.
წარსულს ჩვენს საკვირაო ქელ-
ტონს, მოწინავე წერილის მაგიერად,
თავს მოექცა საყურადღებო განცხა-
დება ქართული წარმოდგენებისა. ორს
კალონაზედ იყო გაქრელებული ეს
განცხადება და რას მოითხოვს თქვე-
ნი სული და გული რომ აქ არ ყო-
ფილიყო. მხოლოდ ერთი კვირის
განმავლობაში; ქართული თეატრი,
სახაფხულო თეატრი და კიდევ სა-
საფხულო თეატრი. იანვრის 13-ს
ბენეფისი ბ. შიფანისა, 17-ს ბე-
ნეფისი პ. შიფანისა, 16-ს ბენეფისი
პ. ალექსეევ-მესნიევისა. მერე პიესები!
„მონასტრის ზღუდეთა შორის“, „მა-
ჩალები“, „ჩაინდი უშიშარი და გულ-
მართალი“, „მეფე ლირია“, „სამშობ-
ლო“, „ანუკ ბატონის-შვილი“, „სიყ-
ვარული ახალ-გაზდა ქალისა“, „შემ-

ლილი“... ღმერთო ჩემო, კინაღამ
ჩვენც შევიშალენით და პუბლიკაც.
მანც ამ უკანასკნელს გზა ისე დაე-
ნა, რომ აღარ იცოდა, რომელ თე-
ატრში როდის წასულიყო, ისიც კი
კარგად ვერ გაიგო, რომ ხუთშაბათი
დანიშნული იყო გამოსათხოვებელი
ბენეფისი ბ. შიფანისა და არდგენ-
დენ პიესას ბ. პოლუბანსკისას, რო-
მელიც დრამატურგის გარეშე ითე-
ლება ძალიან მუყაით ხმოსნად და,
როგორც მატინე ვაუწყებს, როდენ-
საც მელზომენა პიესების წერის დროს
თავს ანებებს, ერთგულად იცეფს
„დუმში“ ქალაქის მცხოვრებლების
ინტერესებს და იხეიწიკების ტაქსის
შემცირებაზედ ორატორობს, — იმას
ვამბობდით, პუბლიკას არწრუნისეულ
და საზაფხულო თეატრ-შუა გზა აე-
რია და რადგანაც ყოველსავე პუბ-
ლიკას უკიდურესობა სძაგს და საშუა-
ლო საქმეს რჩევობს, თავი დაანება
სამიგ ბენეფისს და ისეც თბილისის
კლუბის ზალა არჩია მუხრან-ბატონის
სახლში, რომელიც ამ ორის თეატ-

ახალი სურვილი
თბილისი, იანვრის 20-ს.
ბანსაკუთრებით უკანასკნელი ათის
წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის
ყურადღება ყო და არის დღესაც მი-
ქცეული სწავლა-განათლებელად, მო-
მავლის თავობის აღზრდაზედ, სკო-
ლებისა და სასწავლებლების დაარსე-
ბაზედ. მერა ნახედით ვერც ამას წი-
ნად და ვერ ნახეთ ვერც დღეს ისეთს
აღამიანს, რომელიც თანაგრძობით და
თავგამოდებით არ ეკიდებოდეს ამ სა-
განს, ვერა ნახეთ ადგილობრივს კაცს,
რომელიც მზად არ იყოს თუ ზნეობრი-
ვი, თუ ნივთიერი დახმარება არ გაუ-
წიოს განათლებასა და აღზრდის საქ-
მეს ჩვენში.
ამ საგნის შესახებ, უნდა სიმართ-
ლითა ვსთქვათ, მწერლობამ დიდი სი-
ფხიზლე გამოიჩინა...
ჩვენი მწერლობა ამ ათისა და თხუ-
თმეტის წლის განმავლობაში დაუღა-
ლაუდ, მხნედ და ცნობიერად ეკიდე-
ბოდა სხვა-და-სხვა საგანს, გამოწვეულს
განათლებისა და აღზრდის ინტერე-
სით. ეს ინტერესი დღითი-დღე უფ-
რო მატულობს, უფრო იზრდება სი-
ღრმითა და სიგანით და თხოულობს
მწერლობისაგან უფრო მეტს ყურად-
ღებას, ფხიზელს ხელ-მძღვანელობას,
მხნე თაონობას...
მეორე მიმდინარეობა ჩვენის ცხოვ-
რებისა მხოლოდ ამ უკანასკნელს დროს
დაიბადა. სულ ხუთი და ათი წელი-
წადი იქნება, რაც უფრო ხშირად და
უფრო მტკიცედ ისმის ხმა ჩვენის წარ-
სულის შესწავლის საჭიროების შესა-

ნებ და თვით საზოგადოებაც უფრო
ცნობიერად და აქტიურად ეკიდება
წარსულის ლიტერატურის შესწავლას,
წარსულის კულტურის საფუძველთა
განმარტებას და იმ კავშირის ახსნას,
რომელიც უნდა არსებობდეს წარ-
სულისა და აწმყო ცხოვრების შო-
რის.
ჩვენს მწერლობას აქაც მცირედი
მნიშვნელობა არა ჰქონია. მან პირ-
ველმა იკისრა საძნელო საქმე წარსუ-
ლისადმი პატივის-ცემის გაღვივებისა
და მისი შესწავლის საჭიროების გან-
ცხადებისა...
დღეს თითქმის წამლად ვერ იზო-
ვიეთ განათლებულ საზოგადოებაში
ისეთს კაცს, რომელიც სულითა და
გულით არ იყოს მოწადინებული სკო-
ლისა და აღზრდის გავრცელებისათვის;
ერთს ვერ იზოვიეთ ისეთს, რომელმაც
სთქვას, რომ სწავლა არ გვინდაო,
უსწავლელადაც კარგა სცხოვრებდენ
ჩვენი მამაპაპანიო. მაგრამ სამაგიე-
როდ იქნებ ორი და სამი კი არა,
ათობით და ასობით იზოვოთ ეხლა
ისეთნი, რომელნიც თუ სრულიად
არ უარ-ჰყოფენ წარსულის შესწავ-
ლის საჭიროებას, წარსულის ცხოვრე-
ბის შეგნებას, უგულოდ მაინც იხსე-
ნიებენ თუნდ ისეთს გარემოებას, რო-
გორც არის ბეჭდვა წარსულის ლი-
ტერატურის სახსოვართა და ქმნილე-
ბათა. რამდენია დღეს კიდევ იმისთა-
ნა, რომელსაც ვერას გზით ვერ გა-
უგია, რა ინტერესი უნდა ჰქონდეს,
თუნდ იმ საგანს, რომელზედაც ამ
ახლის წლის დამდევს ჩვენ სამი დიდი
ჭელეტონი დაბეჭდეთ, იმ საგანს,
მოხელენი, რომელთაც იქნება უკანას-
კნელი ორი მანათი მოიძებნეს ჯიბე-
ში, რომ ამ საღამოს არ დაჰკლებო-
დენ, ქალები, განსაკუთრებით ქალები,
ამ შეგნებდენ ამ ისედაც დამშე-
ნებულს ზალას. მერე ცნობის-მოყ-
ვარობით წაქეზებულნი ერთს ალაგს
ველარა სძლებდენ და წამის-წამ ხან
ფეხზედ წამოდებოდენ, ხან, თუ გა-
ჭირდებოდა, სკამზედაც შესდებოდენ
და თავს ისე დასცქეროდენ ხალხს,
როგორც მაგრად შეუკრავ თაიგუ-
ლიდამ ამომხტარი მოუსვენარი ყვა-
ვილი დასცქერის თავის ამხანაგებს.
**
მკითხველი უეჭველია, მიხედვოდა,
რომ ამ საღამოს ბ. ჩელტონი გულთ-
მისნობდა და თავის გულთმისნობით
მიიზიდა ამოდენა ხალხი.
დაჰკრა პირველად ზარმა და გარედ
დარჩენილმა პუბლიკამ ზალაში მოი-
ყარა თავი; დაჰკრა მეორედ — და ყვე-
ლანი თავ თავიანთ ალაგას დასხდენ;
დაჰკრა მესამედ და ზალაში გამოვიდა



რომელსაც ისეთი დიდის ინტერესით იკვლევს ორიოდ ჩვენი მსწავლეული, იმ საგანს, რომლისათვისაც დღეს ნე-მეცი ბარონი სუტნერი სამკურნელო-ეროს მიყოლებულს სოფელშია დაწყე-დულა და ჭრანსიელი მურეი ჩვენის ქვეყნის სხვა-დასხვა კუთხეში დაჭრის ჩვენის ხალხის კულტურის ისტორიის შესასწავლელად.

ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენი მწერ-ლობა აქაც მალე მიხვდა თავის მო-წოდებას და კი არ უარ-ჰყო საზოგა-დოებაში გაღვიძებული სურვილი თვი-სის თავის შესწავლისა, წარსულის თავ-გადასავალის შეგნებით არამედ...

ჩვენმა პოეტებმა დაიწყეს თავიანთ პოეტურ ქმნილებათათვის სიუჟეტე-ბის კრება წარსულის ცხოვრები-დან; წიგნების მბეჭდველთა და გამომცემელთ მიაკციეს ყურად-ღება ძველ სახსოვართა გამოქვეყნე-ბას და გამოცხადებას; მესტორიები თავიანთ დროსა და მოვალეობას, მატია-ნეთა და ისტორიულ თხზულებათა გა-მოცემას და მათ საჭირო კომენტა-რიებს ახმარებენ; შეძლებულნი და შეგნებულნი ქვეყნის მოყვარენი თავიანთ საფასეს არა ზოგენ ამ გვარის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

ამ სახით მწერლობამ და საზოგა-დოებამ არ მიხვდა იმ თვითოეულ პირთ, რომელნიც ყველგან მხოლოდ იმასა ჰყვირიან, რომ ჩვენი საუკეთესო წარმომადგენელი ჰლუბავენ თავიანთ ნიჭსაც, დროსაც, მწერლობასაც და ქვეყანასაც, როცა მისდევნენ წარსულის შესწავლასა.

ამ მხრივ საყურადღებოა სიტყვები ბარონ სუტნერისა, რომელმაც კარ-გად შეიგნო ახლად დაბადებული მიმ-დინარეობა ჩვენის ცხოვრებისა—ახ-ლად დაბადებული სურვილი წარსუ-ლის შესწავლისა. ეს სიტყვები მერო-პიელის მწერლისა კარგად განმარ-ტავენ ამ ახლის მიმდინარეობის ხა-სიათს...
„მართველთ საზოგადოებაში, —

დაბალი ტანის მავ-გვრემანი ყმაწვილი კაცი სათვალეებით, და ნელის ხმით სთხოვა საზოგადოებას, რომ იგი არ მიიღონ თვალთ-მაქც ჭოკუსნიკად, არამედ იმისთანა პირად, რომელსაც გრძობიერება მეტად გაღვიძებული აქვს. შოველს თქვენგანს, დაუმატა იმან, მეტად თუ ნაკლებ „მეუბლიან იმავე რიგად გაიწვრთნას თავის ნერ-ვები, როგორც მე მაქვს გაწვრთნი-ლიო. ამ სიტყვების შემდეგ ძველდ-მანმა იხ.ხოვა, გამაბუტეთ, ესე იგი ცალკე ოთახში წამიყვანეთო. ძლიერის ერთმა უფროსთაგანმა „სტარშინამ“ და ავტორმა პიესისამ „სიყვარული ახალ-გაზდა ქალისა“, ანუ „მკვდარზედ ნადირობა“ ბ. პოლუბანსკიმ მოიწ-ვია ძველდმანი ცალკე მოშორებულ ოთახში. საზოგადოებიდან გამოვიდნენ რამდენიმე პირნი, რომელთაც ათი რამ ჩანიშნეს, და ეს ყოველი უნდა ძველდმანს გამოეცნო: აი, სხვათა-შო-რის რა იყო ჩანიშნული: უნდა აე-ო-დანიშნული წიგნი, გადაეშალა და-ნიშნულ გვერდზე და დანიშნული სიტ-

ამბობს სუტნერი თავის ცნობილს წე-რილში, — დაიბადა ის აზრიც „მეუბ-ნების ტეოლანზე“, რომ მიქცეულ-ეკმნას ყურადღება ენისა და შოვე-ნულის პოეზიის ისტორიულს განვი-თარებას; მან მოინდომა შესწავლა და შეგნება წარსულისა, რომელიც ცხოველს მყოფელს დასაბამს აძლევს თანამედროვე ლიტერატურას“...

შინაური მონიკა

== უკანასკნელი სამი კვირის გან-მავლობაში თბილისის საადგილ-მამუ-ლო ბანკმა დაჰყიდა ოთხი იმ მამულ-თაგანი, რომელნიც წარსულს დეკემ-ბრის 29 მას ღარჩენ და დაჰყიდა ისე, რომ შესანიშნავი ზარალი არ მოსვლია. ამ ოთხ მამულში ორი სოფლისაა და ორი ქალაქისა.

ამავე ბანკის გამგეობას მოუვიდა თავის კორესპონდენტისაგან პეტერ-ბურგიდამ ტელეგრამა, რომლითაც იგი აუწყებს რომ ბევრი არიან მსურ-ველნი 84 1/2 მანათად თქვენის გი-რაენობის ფურცლების ყიდვისაო, მაგ-რამ, რადგან ამ ქამად საკომისიოდ აღებული გირაენობის ფურცლები სულ გაყიდულია, ეს მოთხოვნილე-ბა დაუკმაყოფილებლად დაჩა.

== შველადური მოსალოდნელი იყო და თუ ქუთაისელ ქართველ კათო-ლიკეთა სკოლა, მდიდარ ეკლესიის მდიდარი მრევლისაგან დაფუძნებული გაქორცვულს მდგომარეობაში იქნე-ბოდა, ამას კი ვერ იფიქრებდა კაცი... მაგრამ, აი, რასა გვწერს ერთი პირი, რომელიც ახლო იცნობს ამ სკოლასა და მისს ყოფა-ცხოვრებას:

„...სკოლას არა აქვს სათვალ-სა-ჩინო სწავლისათვის არც ერთი საჭი-რო საგანი, თითქმის არც ერთი ქარ-თული სახელმძღვანელო; და რაც შეეხება „სკოლის გარეშე საკითხავ წიგნებს“ სასკოლო წიგნთ-საცავს,

ყვები ამოვიტხა. შნდა დანიშნულის პირისათვის ორდენი მოეხსნა და მეო-რესთვის გაეკეთებინა; უნდა ოთხი და-ნიშნული პირი შუა ზალაში გამოეყ-ვანა, აელო სტოლიდამ ზაიი, მათ შუა ჩამდგარიყო და დაერეკა; უნდა აელო სათამაშო ქალაღდის კალოდიდამ ჩერ-ვის ქალი, შუა გაეხია, ნახევარი ერ-თის პირისათვის მიეცა, ნახევარი მეო-რისათვის.

ნაფიქმა თავსმჯდომარემ ბ. ნაპო-ლეონ ამბატუნმა გამოუტხადა საზო-გადოებას, რა და რა იყო ჩანიშნული და უთხრა რომ ძველდმანი მოეწვიათ. შემოვიდა ნაცრის - ფერ-გადაკრული ყმაწვილი კაცი და სთხოვა ერთ-ერთს, რომელმაც იცოდა, რა იყო ჩანიშნუ-ლი, ერთი ხელი ოდნავ დაედო მისთ-ვის გულზედ, მეორე მხარზედ. „გზის-მაჩვენებელი“ უნდა სულ იმის ფიქრ-ში ყოფილიყო, რაც ძველდმანს გა-მოსაცნობი ჰქონდა და თან გონებით მისთვის გზა ეჩვენებინა, ესე იგი თავის გულში ეთქვა; წადი, აიღე, გა-დაშალე, წაიკითხე, გახიე და სხვ.

ამათ ხსენებაც კი არ არის ჩვენს სკოლაშიო“.

ამ სამწუხარო მოვლენის გამო ავტო-რი სთხოვს ყველა ჩვენი ქვეყნის შეი-ღებებს, რომ მათ თავიანთი განათლე-ბული ყურადღება მიაკციონ ზემოხ-სენებული სკოლის მდგომარეობას და ხელი გაუმართონ მას საჭირო ქარ-თულის წიგნებთა და ნივთებით.

== სენაკილამ გვწერენ, რომ ამ მაზ-რის სოფლებში და მეტადრე ბულუ-ხეთში, მონტაფოში და საჭილაოში ყვეილი გაჩენილა და ბევრს მსხვერპლ-სა ხოცს, განსაკუთრებით ყმაწვილთა შორის. შუაილის გავრცელებას უფ-რო იმას აბრალებს ავტორი, რომ მი-ცვალბულთა განმზანელთ ჩვეულე-ბადა ჰქონათ მიცვალბულის რომე-ლიმე ტანთ-საცმელთაგანის წაღება და ხმარება.

== მკითხველებმა იციან, რომ იმე-რეთში, ამ რამდენიმე წლის წინად, ხალხმა თავის უძრავის ქონების დასა-ცველად აუცილებელ საჭიროებად დანიხა რამიმე განსაკუთრებულის ლო-ნისძიების მიღება. შოველ-მხრივის მო-საზრებისა და განსჯის შემდეგ მან აღადგინა ძველი, ისტორიული სკეის-თავაზა, ეს წმინდა ეროვნული დაწე-სებულემა ჩვენი წარსული ცხოვრები-სა. აღდგენილის ხვეის-თავობის წეს-ღებაში თანამედროვე დგამა შეიტანა რამდენიმე მუხლი, პირ-და-პირ გამო-წვეული აწმყო ცხოვრების მოთხოვნი-ლებათაგან.

საოცარი და სასიამოვნო ნაყოფი მოიტანა პირველ ხანშივე ამ საერო და ყოველად ჩინებულმა დაწესებუ-ლებამ: თითქო გრძობის ძალ-მა იჩინა თავიო, ისეთის სისწრაფით შესწყდა მსხვილ-ფენ საქონელთა და საზოგადოდ მოძრავ ქონების ქურ-დო-ბა. თავადსა და აზნაურს აღარ სჭირ-დებოდა ცალკე კაცის დაქირავება „სხვის ქონების მოყვარულთაგან“

პირველის გამოცნობა გაუჭირდა გამომცნობელს, მაგრამ მასუკან ისე დაიწყო სიარული, თითქო ყველაფე-რი წინადვე ჩაუგონებიათო. მანსა-კუთრებით ეადვილებოდა ერთის პი-რისაგან რამიმე ნივთის გამოართმევა და მეორესათვის მიცემა, ასე რომ ერთ-მა დარღმინდმა ყმაწვილმა - კაცმა იოხუნჯა: ჭელდმანი მივიდეს ამა-და-ამ მდიდარ ტუზთან, ჯიბიდან პორტ-მანი ამოართვას და მე ჩამაბა ოსო.

შფოო უძნელდებოდა გამომცნო-ბელს იმისთანა რასმეს გამოცნობა, რომლისათვისაც მეორე ხელიც უნდა ემოქმედებინა: მაგალითად ადვილად იპოვნა ჩერვის ქალი მთელ კალო-დამი, მაგრამ თითქმის ათი წამი ატ-რიალა ხელში, ძირსაც კი დაადგო, მალეც შეისროლა, ვიდრე იმას მი-ხედებოდა, რომ უნდა შუა გაეხია და ნახევარი ერთისთვის მიეცა, ნახევარი მეორისთვის.

თითონ ძველდმანმა სინიღისიერად

დასაცველად; გლებმა მაღლი შესწირა ღმერთს, რადგანაც ვიწერ თამამად შეედლო ლამით მოსვენებულის ძილის-თვის მიეცა თავი: ის დარწმუნებული იყო, რომ შემდეგს დილას თავის „სკადაგს“ (რქიან-საქონელს) უკლებ-ლად ნახავდა...

ეს მოვლენა უმთავრესად უნდა მიე-წეროს სამს გარემოებას: ა) ხალხმა იცოდა რა საჭიროებისათვის რა წესდებოდა ბ) იცოდა ვის ანდობდა... ბ) ხვეის-თავებს ესმოდათ ვის ემსა-ხურებოდნენ და რა ზნეობრივი (ნიე-თიერის გარდა) ჯილდო მოელოდათ მათის მოვალეობის ასრულებისათვის სამშობლო კუთხის წინაშე...

სამწუხაროდ, როგორც ყოველ კე-თილს საქმეს და დაწესებულებას, ისე ამ ხვეის-თავობასაც მალე გამოუჩნდა მტრის გუნდი, რომელშიაც ჩარაზმ-დენ ყველა საეჭვო ყოფა-ქცევის პირ-ნი და მათ თავში დაუდგნენ მათივე ჯურის „ხელ-ჯოხიანნი“, გაუღენის მე-ქონნი, მაგრამ ხალხში კი არა...

ჩვენი სიტყვების დასურათებისა-თვის მოგვყავს შემდეგი ალბი მუ-თაისის მაზრის სოფ. სვირიდგან მიღე-ბულ წერილიდან: „ჩვენში, როგორც საყოველთაოდ მუთაისის მაზრის სოფ-ლებში, სკეის-თავაზა მოისპო და მის მაგივრად დააწესეს უზაფუჯაბა. სოფ-ლის შემოსავალ-გასავალ გზებში არის ქონები, სადაც მცველნი ბინადრობენ მაგრამ ამ ნაირი წყობილება ვერ გამოადგა ჩვენს ხალხს და ძლიერ გან-შირდა ქურდობა. თუ რამ სხვა სა-შუალება არ იქმნა შემოდებულნი, ეს ვერას გვიშველის“.

ამ განმარტებულ „სსგა საშუა-ლეებად“, რომელსაც მოველის მოყვა-ნილი წერილის ავტორი და საზოგა-დოდ იმერეთი თავის მოძრავ ქონების დაცვისათვის, იქნება მხოლოდ კვლავ აღდგინებული სკეის-თავაზა, მისის წი-ნა-პირველის წესდებით. თინიერ ამი-სა, ქურდობის საწინააღმდეგოდ ვერა-ვითარი დაწესებულება ვერ გაამართ-

აღვიარა, რომ მის მოქმედებაში არა-ფერი ბუნებრივის გარეშე არა არის-რა და ყოველს ჩვენგანს, თუ კი გრძობიერება მღვიძარედა აქვს, შე-უძლიან ცოტად თუ ბევრად ყოვე-ლივე იმის შესრულება, რასაც იგი ასრულებს. მაგრამ, მაინც კარგი იქ-ნება, რომ საზოგადოება არ შეეჩე-ოდეს ამ გვარ დროს-გატარებას, რად-გან, რაც უნდა იყოს, ამით ცრუ-მორწმუნობას ყალბი ფრთები შეესხ-მება და თვით გამომცნობთა ჯანის სი-მრთელისათვისაც საშიშარი უნდა იყოს. სენანის გათავების შემდეგ ძველდმანს საშინელი ნაცრის ფერი ელო და მა-ჯაც 140-ჯერ უტყმდა.

— საბრალოს რა რიგად დადუნე-ბია მაჯის-ცემაო! შენიშნა ერთმა, ალბად ჭიზიოლოგიაში განვითარე-ბულმა, ქალმა.



ლებს ერის მოლოდინსა და იმედს...
 = ს. სერიდგან გვერდნი: „ჩვენ-ში განდა საქონლის ჭირი და მუსრს ავლებს პირუტყვს. ამ უბედურებას მგონი ზედ ღართვას უბრებს ყვაილიც. მს სენი მძინვარებს ახლო-მახლო სოფლებში: ღმში, მზხაში და ბაღდადში. წერილის ავტორი თხოულობს, რომ ამ სენის საწინააღმდეგოდ ერთი-ორი ფერშალი მანც გაგზავნოს მოხსენებულ სოფლებში და მათ გარემო ყვაილის ასაძრე-ლაღ“.

= ჩხუბსა და დავიდარბაში არც ახალციხელები ჩამორჩებიან ვორე-ლებს, რომელიც ამ კვირაში სკანდა-ლური ქრონიკა ორის ფაქტით ვაამ-ლიდრეს. იქაურ ძველ ქალაქში ისეთი განხეთქილება თუბოძე საზოგადოება-ში, რომ ამ განხეთქილებამ ლამის ქართველებისა და ქართველ-კათოლი-კეთა სკოლაც იმსხვერპლოს, რომე-ლიც ერთად-ერთი სანუგეშო მოვლენაა მთელ ამ ახალციხის ნახევარში. სკოლის მასწავლებელი ბ.ნი ბრიკა-ლოვი რომ თითქმის უფასოდ არ ასწავ-ლიდეს სკოლაში (თვეში ერთს თუ-მანს იღებს მარტო და იმასაც თავის ღრუზედ ვერა) ეს სკოლა აქამდის უსა-თუოდ დაიკეტებოდაო.

= უმაღლესის ნება დაწოვით თბა-ლისის საქალბო გიმნაზიისათვის წესდ-ება ოთხასტანდარტის დიდი მთავრისის ანასტასია მიხეილის ასულისა და მათი მკუდლის დიდის ქეტრავის მკვლენ-ბუჭე-შეკრების ფუნან II სასკოლა-სე. ამ სტიპენდიებისათვის სჭირა ფული, სუთა ათასი მანათი, შეწირუ-ლია თბაღისის გუბერნიის თავად-აზნა-ნა-ურობისაგან („რუს. კუჭ.“).

„დროების“ კორესპონდენციები

ფოთი, იანვრის 15-ს. ძლივს გა-დავულოცეთ იმ ჩვენთვის დაკუბრულ ძველ წელიწადს და სიხარულით მი-ვეგებეთ ახალს, მით უფრო, რომ ამ წელში უნდა გათავდეს ჩვენი ბედი და უბედურება—ჩვენი დიდი ხნის სა-ლოდინო და გაუთავებელი ნავთ-სა-ყუდელი. ჩვენ ასრე ვიმედობთ, მაგ-რამ ვინ იცის, შეიძლება კიდევ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო შემდგენისათ-ვის გადაიდგას და მერმეც ასე ველო-დეთ. თუმცა ჩვენი რუსული გაზე-თების „სპეციალი“ კორესპონდენ-ტები გვაიმედებენ, მაგრამ ჩვენ, მში-ერი კაცივით, ლამის გადაგვიწყდეს ამდენ ღოდინში.

ამ საზოგადო დაღრევილობას და-ემატა კიდევ ჩვენს საუბედუროდ ყვა-ვილი, რომელმაც რამდენიმე კიდე-ვაც იმსხვერპლა. ჭევილი და საზო-გადოდ გადაძვები სენი ჩვენთვის მით უფრო ძნელია, რომ არაოდეს არ გვეყოლია ხეირიანი და ჯან-მთელი ექიმი...

ამისთანა დროს ქურნალ-გაზე-თები გაგვართობენ ხოლმე, მაგ-

რამ უმეტეს ნაწილად რუსულნი, რომლებშიც პირველი ალაგი უჭი-რავს გაზ. „კავკასს“. მს იმიტომ, რომ იმასა ჰყავს აქ „სპეციალური კორესპონდენტი“, რომელიც ჩვენს შოთს ხანდისხან სან-ქრანციკოდ გა-დააქცევს ხოლმე და ხან რად, ვინ იცის; ხან ასწერს თავის პედაგოგიურ მოქმედებას სამ შაგირდთან, ხან თა-ვის ღვაწლს და მოქმედებას საზოგა-დო საქმეში. ამას წინაღ აგვიწერა, თუ როგორ შესწერა კლუბს, მას შემდეგ, რაც მისი მკვერ-მეტყველო სიტყვა და ბასი დაიწუნეს, და თავი გაანება ამის გაჯავრებულმა კლუბსაც, სცენის მოყვარეთა დასსაც და სხვა... ამიტომაც ჩვენ, ვიცით თუ არა რუსული კარგად, მაინც ამ გა-ზეთს ვეცემით ხოლმე და ვაცოდვი-ლებთ—ისე გვიყვარს ოცნების ნა-წარმოებნი და კურიოზული ამბები... რაიცა შეეხება ქართულ ქურნალ-გა-ზეთს, აქ ძლიერ ცოტა გვაქვს. სასა-მართლოში და სასწავლებელში ვერ ნახავთ წამლადაც. მაგრამ ამის მაგი-ერად გავხეიბა „მწეუქსმა“, ამოჰყო თავი აქა-იქ, მაგრამ, როგორც მითხ-რეს ნახალადევა-კი...

ამ დღებში სამხედრო ოლქის სა-სამართლო შეუდგა შალკვგაგენის დამპყრელების საქმის გარჩევას. მოწ-მები ასხედ მეტნი არიან. ბრალდ-ებულთ საუბედუროდ მოენე (თარჯი-მანი) არ ვარა: პირ-და-პირ არ თარგმ-ნის, რასაც ბრალდებული ეუბნება...

დამცველებმაც მეგრული არ იციან, რომ თარჯიმანს შეცდომები გაუსწო-რონა...

ფოთელი.

სოფ. მემო-ქალა, იანვრის 18-ს. დიდი ხანია მას აქეთ, რაც არავითა-რი ცნობები არ ყოფილა მოხსენებუ-ლი ვაზეთ „დროების“ ფურცლებ-ზედ ლეხურას ხეობიდან, რომლის გარემემოც რამდენიმე სოფელია გა-შენებული. სხვათა შორის მემო-ქა-ლაც ერთი ამ სოფელთაგანია.

მს სოფელი ეკუთვნის ბორის მავ-რას და გაშენებულია ერთს პატარა მდინარე ლეხურას ორთავ ნაპირე-ზედ; მემო-ქალას ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით საზღვრავს ტყე, რომელშიაც აქა-იქ გაშენებულია ოსე-ბის პატარ-პატარა სოფლები; სამხრე-თით სოფელი სამთავისი და პატარა ქალა, თავის გიჟაყი ლეხურით; და-სავლეთით-კი გაჭიმულია ერთი ვე-ბერთელა გრძელი მინდორი—ტირი-ფონა, რომელიც დაფენილია სოფ-ლებით, სადაც პური, ქერი, თივა ბევრი მოდის.

მემო-ქალა ძალიან დიდი სოფე-ლი არ არის, შეიცავს მხოლოდ 180 მოსახლეს და ამ 180 კომლიდ-გან 25 კომლი თავად-აზნაურია, ორი კომლი სომენი და დანარჩენი 153 მოსახლე ქართველი მხენელ-მთესველი გლეხები არიან.

ამ სოფლის ჰევა მეტად გრილია; ამის მიზეზი ის არის, რომ ტყიან-მთებს, რომელნიც შეადგენენ ამ სო-

ფლის ჩრდილოეთის სამხლვარს, ღია აქეთ კარი; ძავეასიონის თოვლიანი მთებიც ახლო აქვს, საიდანაც ხამთარ ზაფხულ მემო-ქალაზედ ცივი ჰაერი მოდის. ჰავის სიგრილის გამო მემო-ქალაში ხილი, მეტადრე ყურძენი, გვიან მწიფდება და ზოგიერთა ხილი ხომ სულ არ ხარობს, მაგ. ბროწე-ული, ლეღვი და სხვ. ჰაერის გამო აქ მდარე ღვინო მოდის, თუმცა სოფელი გარემემო დიდრონი ვენა-ხებით და ბაღებით არის შემორტ-ყმული და თითონ პატრონებიც ერთ-გულად მისდევენ მათს შემუშავებას. ღვინის სიმდარის მიზეზი კიდევ სა-ფერავი ვაზის უქონლობაა, რომელიც აძლევს ღვინოს წითელს-ფერს და კარგს თვისებას.

რაც შეეხება ხენა-თესვას—მემო-ქალის ბუნება ხელს უწყობს ამ მრე-წველობას და გარემემო მინდვრები, მეტადრე ტირიფონა, სულ ყანებით ბობინებს ხოლმე. აქ ბოსტნეულობა-საც ძლიერ მისდევენ; კომბოსტო, ხახვი, ბოლოკი, ღობიო და სხვ. აქაურ ხალხის სიმდიდრეს შეადგენენ, მაშინ როდესაც ზოგიერთა სოფლე-ბის ნიადაგს სულ არ შეუძლიან ამ მცენარეების მოყვანა. უკანასკნელი გლეხი გაჰყიდის კომბოსტოს მოსა-ვალს ათი თუმნიდან ოცამდე და მდიდარი-კი ოცი თუმნიდან ორმო-ცამდე. მართის სიტყვით აქაურ მცხოვ-რებთ სიმდიდრეს მარტო ხენა-თესვა და ბოსტნეულება შეადგენს. მსე-ნი სხვა არა წარმოებას არ მისდევენ. არც მომეტებული საქონლის ყოლა იციან; რამდენიმე უღელი ხარი—კა-მეჩი, ხუთიოდე ძროხა, ორიოდე ცხენი, პატარ-პატარა ღორის და ცხვრის ფარები, — აი, რას ინახავს მემო-ქალელი გლეხ-კაცი. მსე-კი უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა ესენი ხენა-თესვის და ბოსტნეულობის მეტს არას მისდევენ, მაგრამ ვალი ძლიერ ცოტასა მართებს და ზოგი ფულია-ნიც არის...

როგორც სხვა სოფლებში, აქაც მიწუ-რი იციან; მიწა ღრმად არის გათხრი-ლი; სახლის კედლები შიგ მიწაში-ვე ამოყვანილი, ცეცხლის ადვი-ლი ან შუახევა, ან კუთხეში ბუხა-რი არის დატანებული. რადგანაც სახლი შიგ მიწაშია ჩამძვრალი და ქარი და მზე არა მხრით არ შედის, ამიტომ იმაში მუდამ ნოტიო და მძი-მე ჰაერია; ეს არის მიზეზი რომ ქარებით და მკვლით ავად-მყოფობა აქ ძალიან გავრცელებულია. ამ ავად-მყოფობას ზედ დაერთო შარშან და წრეულ ყვაილი, რომელმაც არამც-თუ პატარები გააწყო—დიდებიც არ და-ზოგა. მაგრამ ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ მემო-ქალელებს ყველას მიწუ-რი სახლები არა აქვთ. ზოგი ერთა გლეხებს ქვითკირის და ხის სახლები და საბძლები უდგათ. რაც შეეხება ხალხს—ძალიან მშვიდობიანი და ზრდილი არიან, გაცილებით სჯო-ბიან სხვა სოფლების ხალხს. აქ ვერ გაიგონებს კაცი უბრალოდ ლანძღე-ვინებას; ხალხის-მიცემა დიდებსაც და

პატარებსაც ჩვეულებრივად [სტრუქტურა] ამის მიზეზი არის ჯერ [სტრუქტურა] [სტრუქტურა] ფელში ბევრი თავად-აზნაურნი არიან, რომელთაც, ეჭვი არ არის, დიდი გავლენა ჰქონდათ და აქეთ კიდევ გლეხების ყოფა-ქცევაზედ; და მეო-რედ ის, რომ ამ სოფელში არ არის დუქან-ბაზრები, — სამიკიტნოები, სა-დაც ხალხი ღობობის შემდეგ დაი-წყებდეს ჩხუბს და ერთი-ერთმანეთის ლანძღვას, რომელიც შემდეგში ჩვეუ-ლებად ჰხდება. ჩხუბი, მტრობა, შუ-რი აქ უფრო იშვიათი მოვლენა არის, ვიდრე სხვაგან. წმინდა სენიდიისი, პატიოსნური კაცობა ამათთვის დღეს სამკაულს შეადგენს. აქაური გლე-ხები ამავე სოფელში ჩარჩობას თავის დღები არ დაიწყებენ და ქურდობას ხომ ისე ერიდებიან, როგორც სიკე-დილს.

მემო-ქალაში არის ორი ეკლესია; მღვთის მშობლის და ჯვარი-პატიოსა-ნისა, — ორივე თლილის ქვით აგებულ-ნი. ჯვარი-პატიოსნის ეკლესიაში ყურადღების ღირსნი არიან ძვირფასი ქვებით მოკედილი რამდენიმე ხატი, ჯვარი, მირიან მეფის დროს გაკეთე-ბული და წმ. ბიორგის ნაწილი.

არც სკოლა აკლიათ აქაურს გლე-ხებს. აგერ ოთხი წელიწადია, რაც აქ არსებობს იგი; ეს სკოლა მას-წავლებლითურა, ვერ დამდურება აქ მცხოვრებლებს ვერც გლეხებს და ვერც თავად-აზნაურებს, რადგანაც ესენი ერთგულად ეკიდებიან ახალი სკოლის საქმეს (ახალი სკოლის აშე-ნებას აპირებენ) და ცდილობენ მის კარგად მოწყობას. ბოლოს არ შეგ-ვიძლიან მადლობა არ გადაეუხადოთ გენერალ ადიუტანტ თ. ნიკო ბივის-ძეს ამილახვარს იმ მოღვაწეობისა და მეცადინეობისათვის, რომლის წყალო-ბითაც მემო-ქალაში გაჩნდა სასოფ-ლო სკოლა. მან შესწირა ამ სკოლას ათი დღის სარწყავი მიწა, რომლის მო-საველითაც სკოლა სარგებლობს.

ქვემო-ჭალის მასწავლებელი ნიკო ლეონიძე.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის მინისტრს ლორდ ბრენვილს გადასცეს მერო-პის სახელმწიფოთა (საფრანგეთის, იტალიის, აესტრიის, ბერმანიის და რუსეთის) წარმომადგენლებმა თავიანთი წინადადებანი მეგობრის საქ-მეების შესახებ. თუმცა დღემდის ხშირად ვკითხულობდით ტელეგრაფებ-ში, რომ ხან ერთი და ხან მეორე უდიდესი მეროპის სახელმწიფო ეწი-ნაღმდეგებოა ინგლისს მეგობრის საქ-მეების გარეგებაში, მაგრამ ეხლა ყვე-ლა მეროპის სახელმწიფოთა წარმო-მადგენელთ თავიანთი ნოტები მეტის თავაზიანის კილოთი შეუდგენიათ და გადაუციათ ლორდ ბრენვილისათვის-ნოტების ამ გვარის თავაზიანის კი-ლოთი შედგენას უმეტესად საფრანგე-თის მინისტრთა თავს-მჯდომარეს შულ-

